# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 აპრილი, შაბათი, 1990 წ.
№ 70 (10 239) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




# კომბინაციები, შეწირვები...

**პირველი ტური.** ხუგაშვილი-ზურცილავა 1:0, კახიანი-კობაიძე 1:0, სადუნიშვილი-ქასოშვილი 0:1, ნიკოლაძე-არახამია 0:1, გაფრინდაშვილი-ლანჩავა 0,5:0,5, ქ. მელაშვილი-ალექსანდრიას პარტია გადაიდო, იოსელიანი-გურიელისა კი არ გამართულა.

**მეორე ტური.** ზურცილავა-გაფრინდაშვილი 0:1, ალექსანდრია-კახიანი 0:1, გურიელი-კობაიძე 1:0, არახამია-მელაშვილი 1:0, ლანჩავა-სადუნიშვილი 1:0, ქასოშვილი-ნიკოლაძე 0,5:0,5, იოსელიანი-ხუგაშვილი 0,5:0,5.

პირველი და მეორე ტურების შესახებ გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ხულიკო მეზრელიშვილი:**

— სწრაფი ყაიმი გაფრინდაშვილსა და ლანჩავას შორის პირველ ტურში, სიმართლე რომ გითხრათ, გასაკვირი არ იყო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი წვრთნის ამ ნორჩ მოჭადრაკეს, რომელიც, როგორც ცნობილია,













დიდ იმედებს იძლევა. ამიტომ ტურნირის სტარტზე ასეთი დაზავება, შეიძლება ითქვას, ბუნებრივად ჩაითვალა.

აი, ყველა დანარჩენ პარტიაში კი ბრძოლა ბოლომდე მძაფრი გახლდათ. 16 წლის ნიკოლაძე ნიჭიერი, გამჭრიახი ტაქტიკოსია. მის ნაკლად კი ჯერჯერობით ის ითვლება, რომ სათანადო ყურადღებას არ აქცევს სადებიუტო მომზადებას და, აქედან გამომდინარე, ისეთ სქემებს ირჩევს, პრაქტიკაში ხშირად რომ არ გვხვდება. მისი პარტია არახამიასთან თუნდაც იმით იყო საყურადღებო, რომ დიდოსტატი ორჯერ აღმოჩნდა ცაიტნოტში. დიახ, ექვსსაათიანი თამაშის დროს ეს არ არის გამორიცხული. არახამიას სწრაფად უნდა გაეკეთებინა სვლები, როცა პირველი საკონტროლო სვლა (40) მოახლოვდა, შემდეგ იგივე განმეორდა მეორე „კონტროლის" (60 სვლა) დროს. პოზიცია მწვავე ხასიათისა გახლდათ. მეტოქეებს ძლიერი გამსვლელი პაიკები ჰქონდათ. ამასთან, არახამიას მცირე მატერიალურ უპირატესობას რაიმე მნიშვნელობა არა ჰქონდა. ნიკოლაძეს შეეძლო პარტიის ყაიმით დამთავრება, მაგრამ მეტოქის ცაიტნოტში თვით იჩქარა, წააგო მეორე პაიკი და დანებდა.

ქასოშვილმა თანდათანობით უკეთესი პოზიცია მიიღო სადუნიშვილთან, შეიჭრა მეტოქის ბანაკში და გაიმარჯვა. ხუგაშვილმა გარღვევა განახორციელა მეფის ფრთაზე ზურცილავასთან. შავების მეფე თითქოს შორს იყო ბრძოლის ეპიცენტრიდან, მაგრამ იგი საიმედოდ დაცული მაინც არ აღმოჩნდა. ხუგაშვილმა ლაზიერითა და ეტლით იერიში მიიტანა მეტოქის პოზიციაზე. ზურცილავა დიდი მატერიალური დანაკლისის შედეგად დანებდა. კახიანი მეთოდურად უტევდა კობაიძეს. ისედაც აშკარად უარეს პოზიციაში შავები შეცდნენ, რამაც მათი დამარცხება დააჩქარა.

გადაიდო მელაშვილი-ალექსანდრიას პარტია. ლაზიერების ენდშპილში შავებს ზედმეტი პაიკი ჰქონდათ. პარტიის მოსაგებად საჭირო იყო მეფის გააქტიურება, მისი მეტოქის ბანაკში გადასროლა. ალექსანდრია შეუდგა კიდეც ამ გეგმის განხორციელებას. შეიძლება, იგი სადმე შეფერხდა კიდეც, მაგრამ პარტიის გადადების მომენტისთვის შეინარჩუნა მატერიალური უპირატესობა.

**მეორე ტური** მეტად საინტერესო გამოდგა. რა არ იყო აქ — პირდაპირი შეტევები, ფიგურების შეწირვები (ამდენი შეწირვა ერთ ტურში კარგა ხანია არ შემხვედრია!), მძაფრი ცაიტნოტები, დროის გადაცილება...

ალექსანდრია-კახიანის ცენტრალურ პარტიაში გათამაშდა ინგლისური დასაწყისი. საინტერესოა, რომ კახიანის შედარებით მშვიდი თამაში, თანდათან სულ უფრო აგრესიული ხდება. მან პაიკი შეწირა თავის მრავალნაცად მეტოქეს, შემდეგ მეორეც და თეთრების მეფეზე პირდაპირი შეტევა წამოიწყო. ალექსანდრია დროის სიმცირეს განიცდიდა და არაზუსტად ითამაშა. მძიმე პოზიციაში მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს ვადააცილა.

ასევე, დროს გადააცილა შეჯიბრების ყველაზე უმცროსმა მონაწილემ ზურცილავამ (იგი 17 აპრილს 15 წლისა ხდება) გაფრინდაშვილთან შეხვედრაში. საბოლოო პოზი-










ციაში ზურცილავას სამი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, თუმცა მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ამას რაიმე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

მელაშვილმა შავებით არახამიასთან კარო-კანის დაცვა აირჩია, მაგრამ პასიურად მოქმედებდა. არახამია თავის სტიქიაში აღმოჩნდა. მან მეტოქეს ჯერ ფიგურა შესწირა, შემდეგ ხარისხიც. იყო მომენტი, როცა ახალგაზრდა დიდოსტატს ეტლი აკლდა, მაგრამ მისი იერიში შეუფერხებლად გრძელდებოდა და მელაშვილი იძულებული გახდა დანებებოდა.

გურიელმა და კობაიძემ გაითამაშეს უფიმცევის დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. გურიელი მეტად ენერგიულად მოქმედებდა. მან გრძელი როქი გააკეთა და მეფეზე პირდაპირი იერიშით გაიმარჯვა. ლანჩავამ ორი პაიკი შესწირა სადუნიშვილს, რომელიც ცაიტნოტში აღმოჩნდა და ვერ შეძლო თავის დაცვა. ქასოშვილი და ნიკოლაძე შედარებით წყნარი თამაშის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ.

იოსელიანს, როგორც მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი ამბობს ხოლმე, „კაპიტალური პოზიცია" ჰქონდა ხუგაშვილთან. იგი თანდათანობით აუმჯობესებდა კიდეც მას და სავსებით მოსაგები მდგომარეობაც მიიღო. ამასთან, ხუგაშვილი ძლიერ ცაიტნოტშიც აღმოჩნდა. ასეთ პოზიციაში იოსელიანი წამით მოდუნდა და შავების ეტლის შეწირვა დაუშვა. ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ იოსელიანი ვეღარ შეძლებდა მუდმივი ქიშისაგან თავის დაღწევას — ყაიმი.

**მონაწილეთა მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ: არახამია, კახიანი — 2-2 ქულა, გაფრინდაშვილი, ლანჩავა, ხუგაშვილი, ქასოშვილი — 1,5-1,5, გურიელი — 1 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია, იოსელიანი — ნახევარი ქულა და 1 გამოტოვებული პარტია, ნიკოლაძე — ნახევარი ქულა. დანარჩენ მონაწილეებს ჯერჯერობით ქულა არა აქვთ.**

# ასპარეზზე ფართოვდება

**საქართველოს** მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ზიმბაბვეში თავის პირველ საზღვარგარეთულ ტურნეს მართავს, ამ ქვეყნის დედაქალაქ ჰარარეში სასტარტო მატჩი მოუგო მაშონალენდის პროვინციის ნაკრებს — 28:6.

დღეს ქართველი მორაგბეები ბულავაიოში ზიმბაბვეს ეროვნულ ნაკრებს ეთამაშებიან.

* * *

**11 აპრილი. ქუთაისის სარაგბო მოედანი.**

**საქართველო (ახალგაზრდული ნაკრები) — პარიზის უნივერსიტეტები (ნაკრები) 6:8 (6:0).**

შეხვედრა უცნაურად დაიწყო. სტადიონზე დაგვიანებით მოსული ფრანგები ბოდიშის ნიშნად მოედანზე ხელებაწეულნი გამოვიდნენ. შემდეგ კი იყო წუთიერი დუმილი 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.

წყალტუბოელი მსაჯის ბორის ზივზივაძის სასტვენის ხმაზე გუნდებმა თამაში ფრთხილად დაიწყეს. მერე ჩვენები თანდათან დაეუფლნენ ინიციატივას და 28-ე წუთზე ბეშკენაძის მიერ გატანილი ლელო ტყაბლაძემ გარდასახა — 6:0.

შესვენების შემდეგ ფრანგები ლაღად ათამაშდნენ. დავრწმუნდით, რომ მათ რაგბის თამაში ძვალრბილში ჰქონიათ გამჯდარი. სტუმრებმა ისიც დაგვიმტკიცეს, რომ რაგბი უპირატესად ბურთის ხელით თამაშია.

აი, ასეთი მოხდენილი შეტევებით სტუმრებმა — შუამარბმა პოზიემ და მცველმა ბოტიემ ორი ლელო გაიტანეს და შეხვედრაც მოიგეს. ლელოს გამტანთა გარდა, ამ დღეს შესანიშნავი თამაშით თავი ისახელა შერკინების ნახევარმცველმა ფიარმაც.

**„ლელოს" კორ.**

# შაბათს და კვირას

**გაიმართება** ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები. შაბათს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (სსი) სტადიონზე ზოოვეტის გუნდი ეთამაშება „ასოციაციას". დასაწყისი 17 საათზე.

კვირას წყალტუბოელი მორაგბეები თბილისის „უნივერსიტეტს" უმასპინძლებენ, ჭიათურის „იმერეთი" — თბილისის სსი „შევარდენს" (თამაში ნაგუთში გაიმართება; დასაწყისი 15 საათზე), თბილისში კი, სსი-ს სტადიონზე, სტუ-სა და სამხატვრო აკადემიის გუნდები იასპარეზებენ (დასაწყისი 13 საათზე).

გარდა ამ შეხვედრებისა, შაბათს კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა მოეწყობა. ქართული რაგბის ასოციაციის თაოსნობით პირველად იმართება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრებების მატჩი — „ამერ-იმერის შერკინება". ეს თამაშიც სსი-ს სტადიონზე გაიმართება. დასაწყისი 14 საათზე.

**რაგბის კავშირის საშეჯიბრებო კომიტეტი.**

# ფედერაციის მადლობა

**ქართულმა** მართლმადიდებლურმა ეკლესიამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე 100 000 მანეთი პირველმა ჩარიცხა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ულრმეს მადლობას უხდის უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II ქართული ფეხბურთის მიმართ ასეთი დიდი ყურადღებისა და ზრუნვისათვის.

**ნოდარ ახალკაცი.**



სურათზე: ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „იბერიისა" და გორის „დილას" გუნდები. ტურის მატჩების მიმოხილვა იხ. მე-2-3 გვ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ტელეტაიპი - მკითხველს

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბონში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ექვსი ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა ალექსანდრე ჩერნინი — 4,5 ქულა. უვე ბიონშთან (გდრ) გამარჯვების შემდეგ მეორე ადგილზე გადაინაცვლა ბორის გელფანდმა — 4 ქულა, ხოლო მესამე ადგილზეა მათიას ვალცი (გფრ) — 3,5 ქულა (მეექვსე ტურში იგი დამარცხდა ზურაბ აზმაიფარაშვილთან).

თვითონ აზმაიფარაშვილი კი შვეიცარიელ უვე ბრუნერთან და ცნობილ უნგრელ მოჭადრაკე ქალ ჟუჟა პოლგართან ერთად იყოფს მეოთხე-მეექვსე ადგილებს — 3-3 ქულა თითოეულს (ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბმა პოლგართან პირად შეხვედრაში მარცხი განიცადა).

**დორტმუნდი.** დაიწყო ცხენოსნობაში (დაბრკოლებათა გადალახვა) მსოფლიო თასის ფინალური ტურნირი. სტარტზე წარმატებას მიაღწია ფრანგმა ერვე გოლინიონმა. წინასწარი ეტაპების შედეგების მიხედვით ასპარეზობას ლიდერობს ინგლისელი ჯონ უაიტეიკერი — 86 ქულა. მეორე ადგილზეა ფრანგი როჟე ივ-ბოსტი — 79 ქულა.

**პარიზი.** ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლის („სარტე") სასტარტო ეტაპზე დმიტრი ჟდანოვმა მესამე ადგილი დაიკავა, 156-კილომეტრიანი დისტანცია კი ბელგიელმა მიშელ ვერმონტმა მოიგო. მანძილი მან 4:04.19-ში დაფარა. ჟდანოვი მას მხოლოდ 1 წამით ჩამორჩა.

**სეული.** ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში ნელი კიმი დაინიშნა სამხრეთ კორეის ნაკრები გუნდის მწვრთნელად. იგი მოამზადებს ამ ქვეყნის ტანმოვარჯიშეებს აზიის თამაშებისთვის. კონტრაქტი საბჭოთა სპეციალისტთან ძალაში შედის 15 მაისიდან და გასტანს სამ თვეს.

14 აპრილი, 1990 წ.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„იბერია" (თბილისი) — „დილა" (გორი) 5:0 (1:0)**

თბილისი. ცენტრალური სტადიონი. 12 აპრილი.

„იბერია": ხაპოვი, ჩიქოვანი, ცხადაძე, შედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია, ჯამარაული (კეტაშვილი), ცაავა, გურული (კაჭარავა), ნემსაძე (გოგიჩაიშვილი).

„დილა": ჩოჩიევი, კონდრატიევი, ჩადუნელი, ქობესოვი, ანიაშვილი, ტაბატაძე (წიკლაური), მელქაძე (გაზაშვილი), მიხანაშვილი (მარეხაშვილი), ჰინჯარაული, ნეფარიძე, ბალაბანოვი.

მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

გააფრთხილეს კონდრატიევი.

**მესამე** ტურში თბილისის „იბერია" თავის მოედანზე გორის „დილას" მასპინძლობდა. ორივე გუნდმა სეზონი ცუდად დაიწყო, ორი თამაშის მერე ისინი თითო ქულით გათამაშების ცხრილში მეზობლად იმყოფებოდნენ და უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, მით უმეტეს თბილისელებს, რომლებსაც თავისი მაყურებლის წინაშე რეაბილიტაცია სჭირდებოდათ. განვლილ ორ თამაშში გუნდმა ვერც ერთის მოგება ვერ შეძლო. რაც შეეხება სტუმრებს, მათ გათამაშების კალენდარმაც არ გაუმართლა: პირველი მატჩი ლანჩხუთში „გურიასთან" გამართეს და დაძაბულ შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით — 0:1 დამარცხდნენ, მეორე შეხვედრა „დილას" შინ ჰქონდა ბათუმის გუნდთან, გორელთა საერთო უპირატესობის მიუხედავად თამაში ფრედ — 0:0 დამთავრდა.

უკვე პირველი წუთებიდანვე ნათელი გახდა, რომ მასპინძლები ყველაფერს გააკეთებდნენ გამარჯვების მოსაპოვებლად. ბურთის გატანა შეეძლოთ რევიშვილს, გურულს, მაგრამ ხან ჩოჩიევი თამაშობდა კარგად, ხან თბილისელი თავდამსხმელები სცოდავდნენ კადამწყვეტ მომენტში. გოლი სტუმართა კარში მე-19 წუთზე გავიდა: რევიშვილის მიერ მარცხნიდან მოწოდებულ კუთხურს კარგად შეურჩია ადგილი გურულმა და თავური დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა — 1:0.

თბილისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა მეორე ტაიმიც. გურული-ქეცბაიას გათამაშებული კომბინაცია 51-ე წუთზე კარის აღებით მთავრდება (ქეცბაია), 72-ე წუთზე ჯიშკარიანის გადაცემით ცაავამ სამამდე გაზარდა ანგარიში, შემდეგ ცხადაძეს გააქვს გოლი გორელთა კარში, ანგარიშს წერტილი ქეცბაიამ დაუსვა, რომელმაც 83-ე წუთზე მეხუთე ბურთი გაიტანა — 5:0. თბილისელებმა წლევანდელ ჩემპიონატში პირველი 3 ქულა ჩაიწერეს.

• • •

თამაშის წინ ვესაუბრეთ მატჩის მსაჯს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ანატოლი მილჩენკოს:

— ათეული წლებია, რაც ფეხბურთს ვემსახურები, მიმსაჯია ინგლისის „უემბლიზე", ოლიმპიურ თამაშებზე, ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩებში. ისე ვამთავრებდი სამსაჯო კარიერას, რომ ჩვენი რესპუბლიკის პირველი გუნდის მატჩი არ მქონდა ჩატარებული. დღეს საშუალება მეძლევა განვახორციელო ეს ოცნება.



„იბერია" (თბილისი) — „დილა" (გორი). ეპიზოდი განვლილი მატჩიდან. ა. კოტორაშვილის ფოტო.

ახლა რაც შეეხება იმას, თუ რატომ დავუბრუნდი დიდ ფეხბურთს. უკვე 52 წლისა ვარ, ჩვენს პროფესიაში კი 50 წელი საპენსიო ასაკია. მიუხედავად იმისა, რომ აღარ მიწევდა კალენდარული მატჩების მომსახურება, ფეხბურთისთვის თავი არ დამინებებია, სპორტული ფორმა რომ არ დამეკარგა, ვმსაჯობდი აფხაზეთის პირველობას და სხვადასხვა შეჯიბრებებს. როდესაც წლევანდელი სეზონის საწვრთნელი შეკრება ჩვენი რესპუბლიკის მსაჯებმა სოხუმში ჩაატარეს, გადავწყვიტე მათთან გამევლო გადამწყვეტი მზადების ციკლი, არავისზე ნაკლებად არ მომზადებულვარ, ამას დაემატა ფედერაციის თავკაცების თხოვნაც დავბრუნებოდი ფეხბურთს, რაზეც წამითაც არ მიყოყმანია. ეს ხომ ყველა მსაჯის ოცნებაა, მოემსახუროს საკუთარ ეროვნულ ჩემპიონატს.

რაც შეეხება საქართველოს პირველობის მატჩებს, ჩემი აზრით, თამაშები საინტერესოდ მიმდინარეობს. გუნდები შემტევ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ, რაც არბიტრებს გვიიოლებს მუშაობას. სასიამოვნოა, რომ დისციპლინის მხრივაც საგანგაშო რამ ჩვენს მინდვრებზე არ მომხდარა. ეს მომავალ წარმატებათა ერთ-ერთი უტყუარი საწინდარია.

**ზაზა კახაძე.**



ანატოლი მილჩენკო.

**„ივერია" (ხაშური) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:2 (0:1)**

გორი. ცენტრალური სტადიონი. 12 აპრილი.

„ივერია": მურადაშვილი, ჰანგურიძე, ცხოვრებაშვილი, ამბიძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (ჰულონია), აბაზაძე, პოზოიანი (რობაქიძე), მღვდელაძე, ჯაკობია (თევზაძე), ტიტვინიძე.

„კოლხეთი": გვახალია, კურგენიანი, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე (ჰულონია), ჯულელი (თიბილაშვილი), თვარაძე, ავრამიდისი (ინიაშევი).

მსაჯი: მ. ჰელიძე (თბილისი).

**იმის** გამო, რომ ხაშურის სტადიონზე ჯერ კიდევ მშენებლობაა, „ივერიისა" და ფოთის „კოლხეთის" მესამე ტურის მატჩი გორში შედგა: ამ ამბავმა ის ცნობილი ფსიქოლოგიური უპირატესობაც კი, რასაც მასპინძლობა ჰქვია, ხაშურელებს დაუკარგა და თამაშიც ორივე გუნდისთვის სრულიად თანაბარ პირობებში დაიწყო.

ფეხბურთელები ჯერ „გახურებულებიც" კი არ იყვნენ, რომ ანგარიში გაიხსნა: მე-4 წუთზე თოფურიამ ცენტრიდან ჩააწოდა საჯარიმო მოედანში და ჯულელმა თავით გახსნა ანგარიში — 1:0.

გოლმა, მართალია, საკუთარი ძალების რწმენა შემატა ფოთელებს, მაგრამ რატომღაც უარყოფითად იმოქმედა თამაშის სანახაობით მხარეზე — პირველ ტაიმში მხოლოდ ორჯერ თუ გამოცოცხლდა ტრიბუნები: ჯერ ტიტვინიძე სწრაფად გაიჭრა მარცხენა ფლანგიდან და მცირედ ააცილა ბურთი კარს, ტაიმის მიწურულს კი თვარაძემ ვერ გამოიყენა „ივერიის" კარში დანიშნული თავისუფალი დარტყმა.

მეორე ტაიმი უფრო აქტიურად დაიწყეს ფოთელებმა. კარის აღების კარგი საშუალება ჰქონდათ თვარაძეს, მახარაძეს, კარგი შესაძლებლობები ვერ გამოიყენა ჯულელმაც, რომელსაც, მართალია, კარგი ინდივიდუალური მონაცემები აქვს, მაგრამ კოლექტიური მოქმედებიდან ერთობ „ამოვარდნილი" ჩანდა.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც მაღალ დონეზე ჩაატარა თამაში, ფოთელი გიორგაძე იყო (იგი ხაშურელ ცხოვრებაშვილთან ერთად მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს), რომელიც უკან დაწეული ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა, მაგრამ არაერთი ხიფათი შეუქმნა მეკარე მურადაშვილის კარს.

75-ე წუთზე თოფურიამ მარცხენა ფლანგიდან ჩაჰკიდა ბურთი საჯარიმო მოედანზე და მახარაძემ ლამაზი თავური დარტყმით მაღალ კუთხეში გაგზავნა აუღებელი ბურთი.

მეორე გაშვებული გოლის შემდეგ ხაშურელი ფეხბურთელები რამდენადმე გამოცოცხლდნენ. მწვრთნელებმა ორი თავდამსხმელით გააძლიერეს გუნდი, მაგრამ რამდენიმე უმნიშვნელო ეპიზოდის გარდა, ივერიელებმა სხვა ვერაფერი შექმნეს.

2:0 — ასე გაიმარჯვა ფოთის „კოლხეთმა" და კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიცია ლიდერთა შორის. აღსანიშნავია, რომ „კოლხეთმა" სამივე შეხვედრა სტუმრად მოიგო.

**ლევან ჯავახიშვილი.**
(„ლელოს" სპეც. კორ.).

**„ბათუმი" (ბათუმი) — „ლიახვი" (ცხინვალი) 3:0 (1:0)**

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 12 აპრილი.

„ბათუმი": მამინაშვილი, გოგიტიძე, მჭედლიშვილი (ხიბაია), დურდიაძე, კიკლიაშვილი (შეყილაძე). ზედანია, შანიძე, ი. მახარაძე, უჯმაჯურიძე, ტულუში, მაისურაძე (მ. მახარაძე).

„ლიახვი": ხაჩიროვი, კახნიაშვილი, ზვიაგინცევი, მარლიევი, ხუბეჯიშვილი, გასიევი, დოგუზოვი, ხანაკოევი, რომელაშვილი, მიხაილოვი (გობოზოვი), ჯიოევი (ქოჩოევი).

მსაჯი ზ. ჰიჰინაძე (ოზურგეთი).

გააფრთხილეს ვ. გასიევი.

**დასაწყისი** გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ვერავინ იტყოდა, რომ ცხინვალელთა გუნდი აუტსაიდერთა რიგებში იმყოფებოდა. მხოლოდ მე-14 წუთზე მოსინჯა კიკლიაშვილმა პირველად სტუმართა კარი. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ცხინვალელებს მიეცათ კარის აღების კარგი შესაძლებლობა, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს თავის გამოჩენა, 29-ე წუთზე უჯმაჯურიძე საჯარიმო მოედანზე აკრძალული ხერხით შეაჩერეს. 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა დურდიაძემ — 1:0. ასეთი ანგარიშით დამთავრდა პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრები თითქოს გამოცოცხლდნენ. მიხაილოვის ძლიერი დარტყმა ოდნავ ასცდა კარს, შემდეგ ინიციატივა კვლავ ბათუმელებმა იგდეს ხელთ, 49-ე წუთზე უჯმაჯურიძის ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარემ, ბურთს პირველად ზედანიამ მიუსწრო და მეორედ აიღო სტუმართა კარი — 2:0. ამის შემდეგ ბათუმელებს რამდენჯერმე ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის საშუალება, 79-ე წუთზე საჯარიმოში კვლავ კარგად ითამაშა უჯმაჯურიძემ, რომელმაც მოატყუა მეკარე და ამ უკანასკნელს ისღა დარჩენოდა, ხელით დაეჭირა იგი. 11-მეტრიანი კვლავ დურდიაძემ დაარტყა და ანგარიში სამამდე გაზარდა.

**მუხრან კოპალაძე.**
(„ლელოს" საკ. კორ.).

**„ქუთაისი" (ქუთაისი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:0 (1:0)**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 12 აპრილი.

„ქუთაისი": ჩხეიძე, პაპავა, თორლაშვილი, ბზიკაძე, გ. თევზაძე, ნადირაძე, პაიკიძე (დვალიშვილი), სუხიაშვილი (გაბესკირია), შენგელია, შავდათუაშვილი (შავგულიძე), მანაგაძე.

„კოლხეთი": ბაბუაძე, ჩემჩილავა, კაციტაძე, ხურცილავა, ლატარია, მამფორია, ფარფალია (ბაკურაძე), სიჭინავა (ჭიჭინაძე), კალუა, ე. თევზაძე, ქვილითაია.

მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

გააფრთხილეს მამფორია („კოლხეთი").

**შეხვედრა** მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ნახევარმცველები, რომლებმაც ხელთ იგდეს თამაშის სადავეები. 24-ე წუთზე ხობელთა მეკარემ ბაბუაძემ აკრძალული ხერხით შეაჩერა შავდათუაშვილი, 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა გ. თევზაძემ. არც ამის შემდეგ შეუნელებიათ იერიშები მასპინძლებს და თუ მეტი ბურთის გატანა ვერ შეძლეს, ამაში დიდი წვლილი ბაბუაძეს მიუძღვის, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი შეხვედრა.

„ლელოს" კორ.

**„მზიური" (გალი) — „გორდა" (რუსთავი) 2:4 (1:2)**

გალი. „მზიურის" სტადიონი. 12 აპრილი.

„მზიური": ა. ჩხეტია, ლურწკაია, კ. კვეკვესკირი, ა. კვეკვესკირი, ხურცილავა, ლ. ყოლბაია, კაკავა, ეთერია, დ. ჩხეტია, ხარჩილავა, გაბისონია (თ. ყოლბაია, ზ. კვეკვესკირი).

„გორდა": მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი (ლობჟანიძე), აფციაური (კილასონია), ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.

მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).

გააფრთხილეს მ. აფციაური.

გოლები: ა. კაპანაძე-2, კუდინოვი, ფანცულაია 11-მეტრიანით („გორდა"), ეთერია, დ. ჩხეტია („მზიური").

**„ცხუმი" (სოხუმი) — „სამგურალი" (წყალტუბო) — 1:1 (0:1)**

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 12 აპრილი.

„ცხუმი": ბენიძე, ჩიხრაძე (თ. სიჭინავა), ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, ჯელაძე, გელენავა (გეგენავა), გოგრიჭიანი, მორგოშია, პაპასკირი (კუჭავა).

„სამგურალი". მიქაძე, მუშკუდიანი, წიქარიშვილი, იონანიძე, ვ. ფესტვენიძე, რ. იობიძე, ცნობილაძე (ბერაძე), კერესელიძე, ლ. ფესტვენიძე (ჯ. იობიძე), ჩხაბერიძე, ხარაბაძე.

მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

გააფრთხილეს ლ. ფესტვენიძე.

**ეს** იყო სოხუმელთა პირველი შეხვედრა თავის მინდორზე მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში. მატჩის წინ გაიმართა საზეიმო ცერემონიალი, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ოფიციალური პირნი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი.

მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო 9 აპრილს და 15–16 ივლისს დაღუპულთა ხსოვნას. გუნდების კაპიტნებმა აღმართეს საქართველოს ეროვნული დროშა.

პირველი ტაიმი სოხუმელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ მე-14 წუთზე, წყალტუბოელთა პირველივე სახიფათო შეტევის დროს თ. კერესელიძემ გაიტანა ბურთი „ცხუმის" კარში — 1:0. სოხუმელებმა ამას ახალი შეტევებით უპასუხეს, სტუმრების კარის აღება შეეძლოთ გოგრიჭიანს, მალანიას, ჩიხრაძეს. წყალტუბოელებმაც განახორციელეს საპასუხო შეტევები, მათ ჰქონდათ კიდეც გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ფესტვენიძის თავური დარტყმა მე-40 წუთზე რამდენიმე სანტიმეტრით სცდება „ცხუმის" კარს.

მეორე ტაიმიც სოხუმელთა შეტევებით დაიწყო და 58-ე წუთზე გოგრიჭიანმა ლამაზი კომბინაციის შემდეგ გაათანაბრა ანგარიში—1:1.

**თენგიზ ბაჭკორია.**
(„ლელოს" კორ.).

**„სანავარდო" (სამტრედია) — „ოდიში" (ზუგდიდი) 1:1 (1:1)**

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 12 აპრილი.

„სანავარდო": თოდაძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, ჰელიძე, თვალაბეიშვილი, ამბიძე (თამაზაშვილი), ბაბუნიძე, შეპტიცკი, ჯიშკარიანი, დადუნაშვილი (ლეკვეიშვილი), დვალიშვილი (გოგაძე).

„ოდიში": ჰანტურია, კვიტატიანი (სართანია), მაქაცარია, ო. თუთბერიძე, ჯავაშვილი, ნადარეიშვილი, მალანია (მაქაცარია), თევზაძე, ბიგვავა, ჯიქია (ბ. თუთბერიძე), აფაქიძე.

მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

**სამტრედიაში** ნამდვილი საფეხბურთო ამინდი იდგა, სტადიონის ხელმძღვანელობაც მომზადებული შეხვდა მატჩს.

თამაში ორმხრივი იერიშებით დაიწყო. 22-ე წუთზე „ოდიშის" თავდამსხმელს ზ. აფაქიძეს მიეცა ანგარიშის გახსნის საშუალება, მაგრამ ბურთი სულ მცირე მანძილით ასცდა კარს. 25-ე წუთზე მ. ბიგვავამ მოატყუა რამდენიმე მცველი და პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა მეკარე ი. თოდაძე. არ გასულა სულ რაღაც სამიოდე წუთი, როდესაც მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს ვერ შესწვდა „ოდიშის" მეკარე ზ. ჰანტურია, მას პირველმა მიუსწრო ნ. ჰელიძემ, რომლის დარტყმა ძელმა მოიგერია, ასხლეტილ ბურთთან გუნდის კაპიტანი გივი ბაბუნიძე მიიჭრა და გახსნა ანგარიში — 1:0. თამაშის 35-ე წუთზე „ოდიშის" კაპიტანი მ. ბიგვავა „სანავარდოს" საჯარიმოში გასცდა მცველებს და ბურთი გადასცა მ. მალანიას, ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან კარში დაარტყა. თოდაძის მოგერიებული ბურთი ბიგვავამ ბადეში გაგზავნა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მეორე ტაიმი დაიწყო „სანავარდოს" შეტევით. 48-ე წუთზე მ. ჯიშკარიანს ჰქონდა კარგი შესაძლებლობა დაეწინაურებინა თავისი გუნდი, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა მეტოქის კარს. უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმი მიმდინარეობდა დაძაბულად და როგორც „სანავარდოს", ისე „ოდიშს" ჰქონდათ კარის აღების არაერთი შესაძლებლობა, სადაც გამოირჩეოდნენ მ. ბიგვავა — ზუგდიდის გუნდიდან და მ. ჯიშკარიანი — სამტრედიის „სანავარდოს" გუნდიდან. თამაშის შემდეგ დაწესებული იყო პრიზები, რომლებიც გადაეცათ ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშეებს გ. ჰანტურიას („ოდიში") და ი. თოდაძეს („სანავარდო").

**ლაშა სულაბერიძე.**

• • •

**შენიშვნა: „ოზურგეთის" და თბილისის „შევარდენის", აგრეთვე ლანჩხუთის „გურიისა" და ოჩამჩირის „ამირანის" შეხვედრების ანგარიშს ტექნიკური მიზეზების გამო დღევანდელ ნომერში ვერ ვაქვეყნებთ.**



# გათამაშების ცხრილი

**უმაღლესი ჯგუფი** — მდგომარეობა 14 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 3 | 3 | 0 | 0 | 9-0 | 9 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| „ქუთაისი" (ქუთაისი) | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| „სანავარდო" (სამტრედია) | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| „ბათუმი" (ბათუმი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| „ოზურგეთი" (ოზურგეთი) | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| „იბერია" (თბილისი) | 3 | 1 | 1 | 1 | 6-2 | 4 |
| „გორდა" (რუსთავი) | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| „ივერია" (ხაშური) | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| „მზიური" (გალი) | 3 | 1 | 0 | 2 | 3-8 | 3 |
| „ცხუმი" (სოხუმი) | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| „დილა" (გორი) | 3 | 0 | 1 | 2 | 0-6 | 1 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |
| „ლიახვი" (ცხინვალი) | 3 | 0 | 0 | 3 | 0-12 | 0 |

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაცია შეახსენებს რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო კლუბებსა და გუნდებს, რომ თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 2 აპრილის № 157 დადგენილებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის 1990 წლის 7 მარტის № 2 დადგენილებისა, ისინი ვალდებულნი არიან მიმდინარე წლის 18 აპრილამდე საქართველოს სსრ ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე № 000609895 ჩარიცხონ ცალკე სფფ-ში გაწევრიანებისა და ცალკე ჩემპიონატის მატჩების მსაჯთა და მსაჯ-ინსპექტორთა მომსახურების თანხა.

ამასთანავე მათ ევალებათ ყოველი თვის 15 და 30 რიცხვებში სფფ-ას ამავე ანგარიშზე ჩაურიცხონ ჩემპიონატისა და თასის გათამაშებისას სტადიონებზე შემოსული თანხის 10%.

## I ჯგუფი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი III ტურის შეხვედრები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

„სულორი" (ვანი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:0, „სქური" (წალენჯიხა) — „დინამო" (გაგრა) 0:2, „მარგვეთი" (ზესტაფონი) — „კახეთი" (თელავი) 2:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 1:0, „სიონი" (ბოლნისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:0, ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „იმერეთი" (ხონი) 0:2, „არმაზი" (მცხეთა) — „შუქურა" (ქობულეთი) 4:2, „ალაზანი" (გურჯაანი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:0.

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება

**ითვალისწინებს** რა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, იმას, რომ მართალია საფეხბურთო გუნდებმა ოფიციალურად გაწყვიტეს კავშირი იმპერიულ სპორტთან, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ რეალურად არსებობს მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება და მისი ტოტალიტარული სტრუქტურები — **საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის** თბილის-მცხეთის რეგიონალური კომიტეტი მხარდაჭერასა და თანადგომას უცხადებს თბილისის „იბერიის" ფეხბურთელთა გუნდს, მის სპორტულ ცხოვრებაში ჩაურევლად და მოუწოდებს ქართველ ერს, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე მხარში ამოუდგეს და დახმარება გაუწიოს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო კლუბებს.

**ირაკლი წერეთელი,**
**თორნიკე ფიფია.**

# ეროვნული თასი

**17-18 აპრილს** იწყება საქართველოს ეროვნული თასის გათამაშება ფეხბურთში.

ასპარეზობის პირველ ეტაპზე მონაწილეობს II ჯგუფის ყველა გუნდი და აქედან 8 გამარჯვებული განაგრძობს ბრძოლას პირველი ჯგუფისა და უმაღლესი ლიგის გუნდებთან ერთად.

თასის გათამაშების პირველი ეტაპი გაიმართება გამოთიშვითი სისტემით, თამაშის ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი 15-წუთიანი ტაიმები, ხოლო თუ გამარჯვებული არ გამოვლინდა, დაინიშნება დამატებითი 11-მეტრიანების სერია.

გთავაზობთ პირველი ეტაპის თამაშების კალენდარს.

**17 აპრილს ერთმანეთს შეხვდებიან:** ალვანის „თუშეთი" — წნორის „ერწუხი", თბილისის „კრწანისი"-ზოოვეტერინარული ინსტიტუტი — გარდაბნის „სამგორი", წალკის „თრიალეთი" — მარნეულის „ალგეთი", თბილისის „მართვე" — თეთრი წყაროს „შირაქი", თბილისის ოლიმპ. მომზადების სასწ. — რუსთავის „რუსთავი", თბილისის „მგლები" — ბოგდანოვკის „ფარვანა", ტყიბულის „ოკრიბა" — კასპის „განთიადი", აწყურის „სამცხე" — ონის „მამისონი", ხარაგაულის „ჩხერიმელა" — ახალციხის „მესხეთი", ახალქალაქის „აბული" — ტყიბულის „ცხრაჯვარი", „ქუთაისი"-2 — ადიგენის „ზარზმა", გულრიფშის „კოლხი" — ლანჩხუთის „ჩიბათი-გურია"-2", ხობის „კოლხეთი"-2, — ლაითურის „იმედი", ტყვარჩელის „ლაშკინდარი" — ბათუმის „მენავთობე", მარტვილის „ჭყონდიდი" — სენაკის „ეგრისი".

**18 აპრილს თამაშობენ:** თბილისის სასოფ. სამ. ინსტ. — ჭაბუკიანის „განთიადი", თბილისის „მრეტები" — ლაგოდეხის „ჰერეთი", საგარეჯოს „გარეჯი" — თბილისის „მიონი", წითელწყაროს „შირაქი" — დმანისის „განთიადი", მაიაკოვსკის „საირმე" — თბილისის „ლოკომოტივი", ბორჯომის „თორი" — ასპინძის „ვარძია", ქუთაისის პოლიტ. ინსტ. — ამბროლაურის „რაჭა", მუხრანის „მუხრანი" — ქარელის „იბერია", ქუთაისის „აისი" — აბაშის „ზანა", ქედის „ბეთლემი" — ფოთის „ფაზისი", ზუგდიდის „შევარდენი" — ჭიათურის „მშენებელი", სამტრედიის „სამტრედია"-2 — სოხუმის „სუბტროპიკი", თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი — დიდი ჭყონის „მამული".

თამაშები გაიმართება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

# გაზეთ „ლელოს“ რედაქციას

**სოხუმის** საფეხბურთო გუნდის „ცხუმის“ და მისი მესვეურების საქციელმა აღაფრთოვანა თბილისის გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ თანამშრომლები. მოსაწონია ქოიავას, პაპავას, კაკულიას, ბენიძის, ყორყოლიანის, დოჩიას, მალანიას, ფარულავას, ჩიჩრაძის, ინალიშვილის, გოგრიჭიანის ვაჟკაცობა, როცა მათ გზა დაუხშეს ქართველი ერის მოწინააღმდეგე ძალებს და საქართველოს დამოუკიდებელ ჩემპიონატში გადაწყვიტეს მონაწილეობის მიღება.

ვულოცავთ სოხუმის „ცხუმს“. თქვენ დადექით გზაზე, რომელიც ტაძართან მიგიყვანთ, მთელი საქართველო და მათ შორის გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ კოლექტივი თქვენს გვერდით ვიქნებით. მიიღეთ ჩვენგან გუნდის ეკონომიკური გაძლიერებისთვის მცირე დახმარება 5000 მანეთი, ამავე დროს მოვუწოდებთ გაერთიანება „თბილქალაქმშენის“, საქართველოს ყველა შრომითს კოლექტივს დახმარების ხელი გამოგიწოდონ საფეხბურთო ბაზების შექმნისა და გაძლიერებისთვის.

**გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ აპარატის თანამშრომლები.**

# იტალია -90



**მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების მონაწილენი განაგრძობენ ინტენსიურ მზადებას. განვლილ ოთხშაბათს გაიმართა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა.**

**შვეციის** ნაკრებმა ალჟირში ითამაშა იქაურ ნაკრებთან, შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, გაპარჯვებულმა ორივე ბურთი გაიტანა 11-მეტრიანებით. შვეციის ფეხბურთელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ თამაშის მსვლელობაში, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ერთობ არაზუსტად ურტყამდნენ კარში. სპეციალისტების აზრით, ეს არის შვეციის ნაკრების უმთავრესი პრობლემა, რომლის წარმატებით გადაჭრაზე უნდა იფიქროს მწვრთნელმა ოლე ნორდინმა.

**ავსტრიისა** და უნგრეთის გუნდების შეხვედრა გაიმართა ზალცბურგში. ავსტრიელებმა შესამჩნევ უპირატესობას მიაღწიეს ძველ მეტოქესთან შეხვედრაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს არტნერმა, ანდრეასმა და კეგლევიტცმა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში განცდილი მარცხის შემდეგ უნგრეთის ნაკრები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის.

**დანიელ** ფეხბურთელებს საკუთარ მინდორზე თურქეთის ნაკრებთან შეხვედრაში ერთი გოლიც ეყოთ. ბურთი მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანა ლარს იაკობსენმა.

ეს იყო დანიის ნაკრების ცნობილი მწვრთნელის ზეპ პიონტეკის გამოსათხოვარი მატჩი. ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით დანიელმა ფეხბურთელებმა თავიანთი არსებობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: 107 მატჩი გამართეს, 51 მოიგეს, 20 ფრედ დაამთავრეს და 36 წააგეს.

**ბელგრადი.** აქ შედგა 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალური მატჩი იუგოსლავიისა და იტალიის გუნდებს შორის. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

**ჟენევა.** ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა არასპორტულ საქციელად მიიჩნია პორტუგალიის „ბენფიკის“ პრეზიდენტის ჟოაო სანტუშის საქციელი, რომელიც მან ჩაიდინა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ საფრანგეთის „მარსელსა“ და პორტუგალიის „ბენფიკას“ შორის.

ჟ. სანტუშმა განაცხადა, რომ „მარსელის“ მოთამაშეები შესამჩნევად აგზნებულნი იყვნენ და სადოპინგო კონტროლი მოითხოვა ამ კლუბების საპასუხო თამაშის წინ.

უეფა-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებული წესების შესაბამისად სადოპინგო კონტროლი ხორციელდება არა ყველა ნახევარფინალურ მატჩში, არამედ მხოლოდ წილისყრით. ესაა უეფა-ს პრეროგატივა და კლუბებს უფლება არა აქვთ მიგვითითონ რისი გაკეთებაა საჭირო.

**ეგვიპტელი** ფეხბურთელები ამჟამად ევროპაში იმყოფებიან, ისინი გდრ-ის ნაკრებს შეხვდნენ და ანგარიშით 0:2 დამარცხდნენ. მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა, გარდა ამისა, მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ეგვიპტის გუნდის თავდამსხმელი ჰასანი.

**საინტერესო** მატჩი შედგა ესპანეთში, სადაც ამ ქვეყნის ნაკრები შეხვდა ესპანეთის კლუბებში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელთა ნაკრებს. ესპანელებმა „ლეგიონერები“ დაამარცხეს ანგარიშით 3:1. ბურთები გაიტანეს ბუტრაგენიომ და მიჩამბრამ (2), ერთი გოლით უპასუხა ურუგვაელმა ბოსიომ, რომელიც „ვალენსიაში“ თამაშობს.

• • •

**ახალი** უფროსი მწვრთნელი დანიშნეს კამერუნის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელად. ესაა გერმანელი სპეციალისტი ოტო პფისტერი, რომელიც ბოლო ხანებამდე ზაირის ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა.

ცნობილია, რომ კამერუნის ნაკრებს აქამდე ხელმძღვანელობდა საბჭოთა სპეციალისტი ვალერი ნეპომნიაშჩი, რომელმაც გუნდი მსოფლიო პირველობის ფინალში გაიყვანა. კამერუნის ფეხბურთის ფედერაციამ საბაბად ის მოიმიზეზა, რომ ვ. ნეპომნიაშჩიმ არ იცის იქაური ენა.

## ნაკრები უმწვრთნელოდ

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების დაწყებამდე სულ ორი თვე დარჩა და გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი ჰოლანდიის ნაკრები ჯერ კიდევ უმწვრთნელოდაა. ნიდერლანდების სამეფო საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დაარღვიოს კონტრაქტი ევროპის ჩემპიონთა მწვრთნელთან ტიის ლიბრეჰტსთან, ვინაიდან ჰოლანდიის ნაკრებში დიდი უთანხმოებებია, საქმე სკანდალამდეც კი მიდის და ეს მდგომარეობა შემდგომში შესაძლოა კიდევ უფრო გამწვავდეს.

საქმე ისაა, რომ მწვრთნელის საქმიანობით უკმაყოფილონი არიან ნაკრების წამყვანი მოთამაშეები მ. ვან ბასტენი, რ. გულიტი, ა. რაიკაარდი და სხვანი, რომლებიც თავიანთ დამოკიდებულებას ტ. ლიბრეჰტსის მიმართ არ მალავენ და მას ყოველნაირად აკრიტიკებენ ადგილობრივ პრესაში.

ტ. ლიბრეჰტსი ბევრს ეცადა, მას სულაც არ სურდა ასე იოლად დაეტოვებინა თავისი პოსტი, მაგრამ ვერ უშველა ვერაფერმა, ვერც ფეხბურთელებთან მოლაპარაკებამ, ვერც იმის დაპირებებმა, რომ ჰოლანდიის ნაკრები ფინალურ მატჩში მიიღებდა მონაწილეობას, ამიტომაც საფეხბურთო კავშირმა ტ. ლიბრეჰტსის საქმე გადასცა ქალაქ უტრეხტის სასამართლოს, რომელმაც ეს საკითხი ღია სხდომაზე განიხილა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ტ. ლიბრეჰტსი კეთილსინდისიერად ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ მოვალეობებს, მაგრამ ცალკეული ფეხბურთელებისა და პრესის კრიტიკის გამო მეტად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, მას საშუალება არა აქვს ნორმალურ პირობებში განაგრძოს მუშაობა. თუ იგი ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე დარჩება, ნათქვამია დადგენილებაში, ამან შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის წინ ფრიად არასასურველი მოვლენები და გუნდში ნამდვილი ქაოსი გამოიწვიოს. ამის გამო სასამართლომ ნება დართო ჰოლანდიის სამეფო საფეხბურთო კავშირს დაარღვიოს კონტრაქტი და გაათავისუფლოს ტ. ლიბრეჰტსი ჰოლანდიის ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტიდან.

ჰოლანდიის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ადგილზე ამჟამად ორი კანდიდატია: იოჰან კრუიფი, რომელიც ესპანეთის „ბარსელონას“ ავარჯიშებს და ლეო ბეინჰაკერი, „აიაქსის“ მწვრთნელი. ნაკრებში წინასწარ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ი. კრუიფს ნაკრებში რვა მომხრე ჰყავს, ხოლო ლ. ბეინჰაკერს — ხუთი.

მას შემდეგ, რაც სასამართლომ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელს ტ. ლიბრეჰტსს საჩივარზე უარი უთხრა, ცნობილი სპეციალისტი რინუს მიჰელსი სასწრაფოდ გაემგზავრა ბარსელონას, რათა მოელაპარაკოს ი. კრუიფს დაუყოვნებლივ ჩაუდგეს სათავეში ჰოლანდიის ნაკრებს.



# ჟაირზინიო: „ბრაზილიელთა დიდი იმედი მაქვს“

**ეს ინტერვიუ დაიბეჭდა გაზეთ „იუნგე ველტში“ (გდრ), რომელსაც ჩვენს მკითხველს ოდნავ შემოკლებით ვთავაზობთ.**

● **თქვენ სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ხართ. პელესთან ერთად 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეთ. თქვენი საუკეთესო მატჩი?**

— 1970 წლის შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელებთან, რომელიც მოვიგეთ 4:1. ამ მატჩში ორი გოლი გავიტანე.

● **გარინჩა მსოფლიოს საუკეთესო მარჯვენა გარემარბად ითვლება. ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მან 1958 და 1962 წლებში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. თვლით თუ არა თავს მის მემკვიდრედ?**

— რასაკვირველია. მისი თამაში ბევრს შეიძლება კარგად არ ახსოვდეს, რადგანაც იგი შეუმჩნევლად აკეთებდა თავის საქმეს. გარინჩა ბრაზილიელთა კერპი იყო და მას პელეზე წინაც კი აყენებენ მის სამშობლოში და მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთლადაც მიიჩნევენ.

● **18 წელი რიო-დე-ჟანეიროს „ბოტაფოგოში“ გამოდიოდით. ვინ აღმოგაჩინათ?**

— მეორე ლიგაში მოთამაშე ლუკაჩმა. ქუჩაში ბურთს ვკენწლავდი და ასე მივადექი „ბოტაფოგოს“ სტადიონს. ყველა ბრაზილიელი კოპაკაბანას პლაჟზე როდია აღმოჩენილი.

● **შეიცვალა თუ არა ფეხბურთი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე?**

— უკანასკნელი წლების ფეხბურთი ყველგან, და მათ შორის ბრაზილიაშიც, შედარებით თავდაცვითი გახდა.

● **რა შედეგები მოჰყვა ამას?**

— მაყურებელთა რაოდენობამ იკლო სტადიონებზე. ჩვენთან, ბრაზილიაში, მატჩებს საშუალოდ 3.000-4.000 კაცი ესწრება. გამონაკლისია ცენტრალური მატჩები. მაგალითად, „ვასკო და გამასა“ და „ფლამენგოს“ შეხვედრას 100.000 გულშემატკივარი დაესწრო.

● **როგორ აფასებთ ბრაზილიელთა შესაძლებლობებს იტალიაში?**

— გუნდს ყველა საშუალება აქვს, რათა მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. მისი ყველა რგოლი თანაბარი სიძლიერისაა, ოღონდ მას არა ჰყავს ვარსკვლავები. ნაკრების სიძლიერე მისი ერთსულოვნებაა.

● **ვინ მიგაჩნიათ ფავორიტებად იტალიაში?**

— ჰოლანდიის, გფრ-ის, იტალიისა და არგენტინის გუნდები.

● **რას აკეთებს ჟაირზინიო, როდესაც ფეხბურთით არ არის დაკავებული?**

—ეს იშვიათად ხდება. ვუსმენ მუსიკას განმარტოებით, ხან ბავშვებთან ვარ. მყავს ორი შვილი — 13 წლის ჯენი და 11 წლის ჟაირი.

**მასალა მოამზადა**
**მალხაზ რადიანმა.**

### საქართველოს პირველობა ბალახის ჰოკეიში

# „მწვანე ჰოკეი“ რიონის პირზე

**ქუთაისის** სპორტკომბინატის ბალახის ჰოკეის ხელოვნურსაფარიან მოედანზე დამთავრდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური პირველობა ბალახის ჰოკეიში.

გოგონათა ტურნირში გამოდიოდა ოთხი გუნდი: ქუთაისის „უქიმერიონი“, საქალაქო სპორტკომიტეტის სპორტსკოლის („რიონი“), ბათუმისა და კონკურსგარეშე მოასპარეზე ლანჩხუთის გუნდები.

პირველ ლიგაში მოასპარეზე „უქიმერიონის“ (მწვრთნელი ა. თევდორაძე) უპირატესობა აშკარა იყო. მან დამაჯერებლად სძლია ლანჩხუთელებს (7:0), ბათუმელებს (5:0), „რიონს“ (3:1) და პირველი ადგილი დაიკავა.

გამარჯვებულთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ნ. თევდორაძე, მ. დათიაშვილი, რ. მანწკავა, მ. მამისეიშვილი, თ. ბურჯანაძე, ხ. მელაძე, ფ. მამისეიშვილი, მ. მამაგეიშვილი, ქ. კანკაძე, ი. ხოროშილოვა, ე. კილაძე, ი. დენისოვა, ი. სვანიძე, მ. საფრონოვა, ე. ხურციძე და ი. აბაშიძე.

მეორე ადგილზე გავიდნენ ბათუმელები, რომლებმაც ლანჩხუთის (3:0) და სპორტსკოლის (5:0) გუნდები დაამარცხეს. მესამე ადგილი დაიკავეს ლანჩხუთელებმა — მათ ფრედ — 0:0 ითამაშეს „რიონთან“.

ვაჟთა ტურნირშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისის „ლოკომოტივის“ უპირატესობა აშკარა იყო — ეს გუნდი ხომ წლების განმავლობაში საკავშირო პირველობის პირველ ლიგაში გამოდის და, ბუნებრივია, მეტოქეებზე მეტი გამოცდილება აქვს. მან დიდი ანგარიშით დაამარცხა ლანჩხუთისა (7:1) და ბათუმის (5:1) გუნდები, პირველი ადგილის ბედი კი „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის მეორე გუნდის „ბჟოლების“ შეხვედრაში გადაწყდა. აღსანიშნავია, რომ „ბჟოლებისათვის“ ეს ტურნირი დებიუტი იყო რესპუბლიკურ სარბიელზე. ეს კოლექტივი სპორტკომიტეტის ბალახის ჰოკეისა და რაგბის ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის აღსაზრდელებით არის დაკომპლექტებული.

ახალგაზრდა ჰოკეისტებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს გაცილებით ძლიერ მეტოქეს და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით — 1:2 დამარცხდნენ. დანარჩენ ორ შეხვედრაში მათ მოუგეს ბათუმისა (3:1) და ლანჩხუთის (4:1) გუნდებს და საპატიო მეორე ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილზე გავიდნენ ლანჩხუთელები, რომლებმაც ბათუმის გუნდს სძლიეს — 2:1.

რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებული „ლოკომოტივის“ (მწვრთნელები ჯ. ბაზაძე, მ. ფულარიანი) ღირსებას იცავდნენ: ჯოჯუა, კოხრეიძე, ფულარიანი, მაჩალაძე, გოგავა, თორდია, ზ. ჩარკვიანი, ძნელაძე, გ. ჩარკვიანი, ოყრეშიძე, მამისეიშვილი, როხვაძე, ჯავახაძე, რატკო, დათიაშვილი.

**თამაზ კოლხიდელი,**
„ლელოს“ საკ. კორ.

# ჩოგბურთის ამბები

**ტოკიო.** იაპონიის ღია ჩემპიონატის მესამე წრე მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტის წარმომადგენლებმა შედარებით მშვიდად განვლეს და მორიგ წარმატებებს მიაღწიეს. ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა ჯოზეფ რასელი (აშშ) 7:6, 6:2. სტეფან ედბერგმა (შვეცია) — ალექს ანტონიჩი (ავსტრალია) 6:2, 6:7, 6:1, ბრედ ჯილბერტმა (აშშ) — ალექსანდრ ბრონცი (გფრ) 4:6, 7:5, 6:1, აარონ კრიკშტეინმა (აშშ) — გრანტ კონელი (კანადა), მაიკლ ჩანგმა (აშშ) — პატრიკ კიუნენი (გფრ) 7:5, 6:2. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირის საპრიზო ფონდი მილიონ 150 ათას დოლარს შეადგენს.

**ბარსელონა.** ანდრეი ჩესნოკოვმა წარმატებით გაიარა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეც და დაამარცხა არგენტინელი რობერტო აზარი — 6:4, 1:6, 6:3. ანდრეი ჩერკასოვი კი ამავე წრეში დამარცხდა ესპანელ კარლოს კოსტასთან — 3:6, 2:6.

**აშელია-აილენდი.** აშშ-ს ფლორიდის შტატის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მორიგი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შტეფი გრაფმა (დაამარცხა უნგრელი ანდრეი ცემეშვარი) და მეოთხედფინალში გავიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მისი მეორე გამარჯვებაა ტრავმის შემდეგ.

### „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-14 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.669.151 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (34) მოგება 1.177 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (974) — 82, 11 შედეგის გამოცნობისთვის (9.356) — 29.

საქართველოში: დაშვებულია 120.678 ვარიანტი. 13—0, 12—26, 11— 292.

მე-14 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 28 აპრილიდან 28 მაისის ჩათვლით.

# ბარსელონა დიდ სამზადისში

**ქალაქს** ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია. მოსახლეობა სამრეწველო გარეუბნებიანად სამი მილიონია. ჰაერის ტემპერატურა ზამთრობით პლუს ხუთ გრადუსზე ქვემოთ იშვიათად ჩამოდის, ზაფხულობით კი საშუალოდ ოცდაათ გრადუსს არ სცილდება.

როგორი ხალხი ცხოვრობს ბარსელონაში? ერთმა ესპანელმა მწერალმა თქვა, რომ ბარსელონელი ეს არის ჩრდილოეთელი კაცი სამხრეთში და სამხრეთელი — ჩრდილოეთში. იგი სტუმართმოყვარეა და ზრდილობიანი, ოდნავ ირონიული და საღად მოაზროვნე, წესრიგის მოყვარული. დიდად აღშფოთდება თუკი ვინმე ქუჩაში ქაღალდის ნაგლეჯს დააგდებს. გამოკითხვით დადგინდა, რომ საშუალო ბარსელონელი კაფესა თუ რესტორანში უფრო ხშირად დადის, ვიდრე კინოსა და თეატრში. მისი საყვარელი საკვებია თევზი, ბოსტნეულიდან უპირატესობას პომიდორს ანიჭებს, ხილიდან კი, როგორც ყველა ესპანელს, ყველაფერს ფორთოხალი ურჩევნია.

ქალაქის ავტოპარკში 800 ათასი ავტომობილია, მათ შორის 650 ათასი კერძო და 11 ათასი ტაქსი.

ბარსელონელებს 91 კინოდარბაზი, 40 მუზეუმი ემსახურება. ესპანეთის ყველაზე ცნობილი გამომცემლობები და უროლოგიური კლინიკები ამ ქალაქშია დაფუძნებული. ყოველ 220 ქალაქელზე თითო ბარი, ტავერნა ან ღვინის სარდაფი მოდის. გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ბარსელონაში დაახლოებით შვიდი ათასი ნარკომანია. გულის დაავადებებითა და ღვიძლის ციროზით დაავადებულთა რიცხვით იგი პირველ ადგილზეა ქვეყანაში.

ქალაქში ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა შობადობა, ახალგაზრდობის ხვედრითი წილი. 1979 წლიდან, ცხოვრების გაძვირების გამო, ბარსელონა 205 ათასმა ადამიანმა დატოვა.

ათი თვე დასჭირდათ მშენებლებს ბარსელონის ერთ-ერთი ძველი კვარტალის პუებლო ნუევოს „მიწასთან გასასწორებლად“. გასული საუკუნის ბოლო პერიოდში ინდუსტრიული რევოლუციის ამ ტიპიური ნიმუშიდან დღემდე შემორჩა პატარ-პატარა ქარხნები, მიტოვებული რკინიგზის ხაზები, საწყობები, ასე გულდაგულ რომ ხერგავდნენ ზღვისკენ გასასვლელს. ამოირჩია რა მუნიციპალიტეტმა ეს ადგილი ოლიმპიური სოფლის ასაშენებლად, უმალ ორი მიზანი დაისახა: გამომშვიდობებოდა ჩამკვდარ კვარტალს და შეექმნა ბარსელონის საკადრისი ლამაზი, მოხერხებული რაიონი.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის რეზიდენცია ბარსელონის ერთ-ერთ ბორცვზე, მონთჟუიკის მთის ძირში აგებულ მყუდრო, თანამედროვე შენობაშია მოთავსებული.

ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დამთავრება 1991 წლის დეკემბრისათვის არის განსაზღვრული. არქიტექტურული ერთფეროვნების ასაცილებლად პროექტების დამუშავება ერთდროულად ხუროთმოძღვართა ოც ჯგუფს დაავალეს. მათი ფანტაზიის აღსასრულებლად ას ოც ჰექტრამდე მონაკვეთია გამოთავისუფლებული, რომლის ორი მესამედი გამწვანებისათვის არის გამიზნული. ამასთან, აუცილებელია უმთავრესი პირობის დაცვა: იქაურობის რაც შეიძლება მოხერხებულად აგება ოლიმპიადისშემდგომ საცხოვრებლად.

ოლიმპიური სოფლის სამ კვარტალში აგებულ ექვსსართულიან შენობებში ათას ხუთასამდე სპორტსმენი იცხოვრებს, ცალკე კვარტალი დაეთმობა ადმინისტრაციულ პერსონალს. აქვე იქნება სასტუმრო, კონგრესების და კონფერენციების ჩასატარებელი ცენტრი, რესტორნები, მაღაზიები, კულტურული ცენტრები და თეატრალური დარბაზები, საცურაო აუზები, პარკი და დასვენების ზონა, დახურული სპორტული პავილიონი და ტანვარჯიშული დარბაზი. აიგება სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი საკულტო ცენტრები — კათოლიკეთა, მუსლიმანთა, ბუდისტთა, პროტესტანტთა სალოცავები.

ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური თილისმა გახლავთ სასაცილო კობი, რომელიც კატალონიელი მწყემსების ერთგული ძაღლის სიმბოლური მემკვიდრეა. იგი დიზაინერმა ჰავიერ მარისკალმა შექმნა. ექსპერტებმა დაიანგარიშეს, რომ კობის გამოსახულებიანი საქონლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი ერთნახევარ მილიარდ პესეტს გადააჭარბებს. თუმცა, სიმპათიურ კობის უკვე გამოუჩნდნენ თვითმარქვია მოწინააღმდეგეები. ჯერ კიდევ არ იყო გასაყიდად გამოტანილი კობის გამოსახულებიანი ემბლემები, რომ ალიკანტესა და თვით ბარსელონაში პოლიციამ თილისმის გამამრავლებელი იატაკქვეშა ფაბრიკები აღმოაჩინა.

აღსანიშნავია, რომ სამოცათასიანმა ოლიმპიურმა სტადიონმა უკვე უმასპინძლა სპორტსმენებს, სადაც შარშან, სექტემბერში გაიმართა მძლეოსნობაში მსოფლიოს თასის გათამაშება. სარბიელი 1929 წელს აშენებული ძველი სტადიონის ადგილზე აიგო. სამი ათასი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება დასჭირდა სტადიონის ჩაღრმავებას, რის ხარჯზეც გაიზარდა ადგილების რიცხვი. ამ ნაგებობის მთავარ ღირსებად სპეციალისტები სარბენ ბილიკებს მიიჩნევენ, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე „სწრაფი“, იტალიური წარმოების სპეციალური სინთეტიკური მასალით „სპორტფლექსით“ არის დაფარული. სწორედ ამგვარ საფარზე დაამყარეს ფენომენალური რეკორდები ფლორენს გრიფიტ-ჯოინერმა და ბენ ჯონსონმა.

ერთგვარ სანახაობა-წარმოდგენად გადაიქცა მრავალრიცხოვანი მაყურებლისათვის სხვა ოლიმპიური ობიექტის, სან ჟორდის სპორტის სასახლის უზარმაზარი სახურავის მონტაჟი. მიწაზე აწყობილი 125X120 მეტრის რვაასტონიანი ლითონის კონსტრუქციები თორმეტი ჰიდრავლიკური დომკრატით ორმოცდახუთი მეტრის სიმაღლეზე აიტანეს, ნაგებობის ავტორმა, იაპონელმა არქიტექტორმა არატა ისოზაკიმ სახურავში ასი სარკმელი დაატანა და ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის ასაშენებლად უახლესი ტექნოლოგია და მასალები გამოიყენა. სასახლეში ჩვიდმეტი ათასი მაყურებელი დაეტევა, სადაც გაიმართება შეჯიბრებები ტანვარჯიშში, ფრენბურთსა და ხელბურთში. ოლიმპიადის შემდეგ აქ საკონცერტო წარმოდგენებიც გაიმართება ხოლმე. შენდება კატალონიის ფიზკულტურის ეროვნული ინსტიტუტის კომპლექსიც. მისი ავტორია ცნობილი ესპანელი არქიტექტორი რიკარდო ბოფილია (იქ გაიმართება შეჯიბრებები ჭიდაობაში), იქვე აშენდება საცურაო აუზი.

ოლიმპიური სოფლიდან ეს ნაგებობები დიდი მანძილით არ არის დაცილებული. სპორტსმენებზე კი იზრუნეს, მაგრამ ოლიმპიადის სტუმრებზე რატომღაც ნაკლებად იფიქრეს. ბარსელონაში არ არის საკმაო რაოდენობის სასტუმროები და ახლის აშენებაზე არავინ ზრუნავს. ბიზნესმენები ფრთხილობენ და თავს იკავებენ ოტელების აშენებისაგან, რადგან ფიქრობენ, რომ ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ ოტელები დაცარიელდება და იშვიათად თუ ვინმე გაჩერდება იქ. ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ ოლიმპიადის სტუმრებისა და ტურისტებისათვის შვიდი დიდი საოკეანო გემი დაიქირაონ, მათ შორის იქნება მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო გემი „დედოფალი ელიზაბეთ II“.

თუმცა, ოლიმპიური ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით სხვა სახის საყვედურებიც ხშირად ისმის. მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა (იგი წარმოშობით ბარსელონელია) ხუან ანტონიო სამარანჩმა ყოველკვირეულ „კამბიო-16“-თვის მიცემულ ინტერვიუში შეშფოთებით აღნიშნა: „არ ვიცით, დროზე დამთავრდება თუ არა ახალი აეროპორტი, მასთან მისასვლელი ჩქაროსნული გზები, სასტუმროები, მოკლედ, ბევრი რამე მაფიქრებს. ოლიმპიადის ჩატარების უფლების მიღება ძნელია, მაგრამ მისი გამართვა კიდევ უფრო რთული და მძიმედ აღსასრულებელი მისია გახლავთ“.

ცხადია, ოლიმპიური თამაშებით ხელის გვარიანად მოთბობა სწადიათ უცხოურ კომპანიებსაც, რადგან ოლიმპიადა მარტო სპორტის ზეიმს კი არ წარმოადგენს, არამედ გიგანტური საქმეების გაჩარხვის შესაძლებლობასაც იძლევა. ამერიკულმა კომპანიამ „იბმ“ თამაშების ორგანიზატორებს უსასყიდლოდ უბოძა კომპიუტერები, ფირმა „სეატ-ფოლკსვაგენმა“ სპორტსმენებისა და ოფიციალური პირების გადასაყვანად ორი ათასი ავტომობილი გაიღო და საგრძნობლად გაუსწრო ავტო-გიგანტებს „ჯენერალ მოტორსს“ „ფორდს“, „სიტროენს“ და „პეჟოს“. სანაცვლოდ, კომპანიები უზარმაზარ სარეკლამო მოგებას მიიღებენ: მათი სახელწოდებები დროდადრო გამოჩნდება ტელეეკრანებზე შეჯიბრებების შედეგების გამოცხადების დროს. აი რატომ არის გაჩაღებული დაძაბული ბრძოლა ბარსელონა-92-ის ირგვლივ „სონის“, „პანასონიკს“, „ფილიპსს“, „სეიკოს“, „სუის თაიმინგს“ შორის.

და რაც მთავარია, ყველას აინტერესებს თუ როგორ იქნება უმთავრესი საკითხის, უკლებლივ ყველა ბოლო ოლიმპიადისათვის დამახასიათებელი პრობლემის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმე? ისიც უნდა ვთქვათ, რომ კატალონიას ვერაფრით მივაკუთვნებთ ესპანეთის მშვიდ კუთხეს. თამაშების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ უარი თქვეს „ლოს-ანჯელესის მოდელზე“, სადაც მთელი იმედები კერძო კომპანიებზე იყო დამყარებული, „სეულის მოდელი“ კი ოლიმპიური ობიექტების „სამხედრო ოკუპაცია“ გახლდათ. ამასთან, მოსკოვის მსგავსად არც ქალაქის „დახურვა“ შეიძლება ესპანეთში. აქ შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ტერორიზმსა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის უდიდესი გამოცდილების სპეციალისტები თავკაცობენ. მიაჩნიათ, რომ წესრიგის დასამყარებლად საჭიროა ექვსი მილიარდი პესეტი, უსაფრთხოების სამსახურის, საქალაქო გვარდიისა და ავტონომიური პოლიციის თოთხმეტი ათასი აგენტი. მალე დაიწყება აუცილებელი მოწყობილობების შესყიდვა.

...ბარსელონელები დიდად ამაყობენ, რომ ოლიმპიური თამაშები კიდევ უფრო შორს გაიტანს ესპანეთის, მათი ქალაქის სახელს. ამასთან, დიდი იმედი აქვთ, რომ ოლიმპიადა ხელს შეუწყობს სპორტის შემდგომ განვითარებას მთელს ქვეყანაში. მუნიციპალიტეტმა კამპანია გააჩაღა დევიზით: „ბარსელონა ლამაზდება“. მისი მიზანია ნაგებობების რესტავრაცია, ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობა და გამწვანება, ძველი, გამოუსადეგარი შენობების აღება. ოლიმპიადის მასპინძლები გულით ელიან სტუმრებს დედამიწის ყველა კუთხიდან და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ.

პუბლიკაცია მოამზადა
**ბელა ჯილაურმა.**

### „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-14 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.688.766 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (52) მოგება 1.346 მანეთია, ოთხისთვის (2.275) — 33, სამისთვის (36.075) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 40.630 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—24, 3—665.

**„სპორტლოტო 5 36“-დან.** ტირაჟში დაშვებულია 18.079;289 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (25) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5.599) — 161, სამისთვის (194.769) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 559.346 ვარიანტი. 5—0, 4—144, 3—6.060.

მე-14 და მე-5-დან მე-14 ტირაჟების ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 28 აპრილიდან 28 მაისის ჩათვლით.

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე.**

**ნარდში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთა საყურადღებოდ!**

ჩემპიონატის მონაწილეთა რეგისტრაცია ჩატარდება ა. წ. 18 აპრილს თბილისში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში (ფილარმონიის შენობა) 10.00-21.00 საათამდე.

მონაწილეებმა თან უნდა იქონიონ მოწვევის ბარათი, გადახდის ქვითარი და ორი ფოტოსურათი 3X4.

რეგისტრაციის გაუტარებლობის შემთხვევაში პიროვნება ჩემპიონატზე არ დაიშვება.

ჩემპიონატის საზეიმო გახსნა — 19 აპრილს 19 საათზე.

**საორგანიზაციო კომიტეტი.**

საქართველოს სპორტსახკომის აპარატისა და გაზეთ „ლელოს“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სპორტსახკომის სახელმწიფო მთავარ მწვრთნელს აფრონსნობაში, სპორტის ოსტატს თამაზ ზოიძეს მამის

**შალვა ზოიძის**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-20, „მარაგი“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 60485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო ქაღალდზე: ხელმოწერილი, 30.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779